ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3030326

ნომერი: AR1463726

თარიღი : 13.12.2016

გაცემის თარიღი : 05.01.2017

გაცნობის თარიღი : 05.01.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისიმ რესპუბლიკის მოედანი, საკადასტრო კოდი 01.15.04.004.042;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სულხან გვალია პ/ნ 01008013610
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 78 კორ. 2 ბ. 3

ორგანიზაცია:
- შპს ი-სპეის კოდი: 405147087

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში (სექტორი - მთაწმინდა), რესპუბლიკის მოედანზე, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით N 01.15.04.004.042 დროებითი დანადგარის - ელექტრომობილების დამტენი მოწყობილობის განთავსებას.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

განცხადება და თანდართული დოკუმენტები განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N51, 29.12.2016წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც საკითხს მიეცა დადებითი შეფასება იმ პირობით, რომ თვითმმართველის პირველივე მოთხოვნისთანავე აღებული იქნება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის დროებითი დანადგარის - ელექტრომობილების დამტენი მოწყობილობის განთავსების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (1. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით N 01.15.04.004.042 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882016771262; 2. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა; 3. ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში (სექტორი - მთაწმინდა), რესპუბლიკის მოედანზე, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით N 01.15.04.004.042 დროებითი დანადგარის - ელექტრომობილების დამტენი მოწყობილობის განთავსების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ თვითმმართველის პირველივე მოთხოვნისთანავე დროებითი დანადგარი - ელექტრომობილების დამტენი მოწყობილობა იქნება აღებული.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.